სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

20261727187023

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N231416717

რეგისტრაციის თარიღი

10.10.2023 წ

ნოტარიუსი: გვანცა მიქიაშვილი
მისამართი: ქ. საგარეჯო, დავით აღმაშენებლის N30
ტელეფონი: +995 555 55 50 90

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდასამი წლის ათ ოქტომბერს მე, ნოტარიუს, გვანცა მიქიაშვილს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. საგარეჯო, დავით აღმაშენებლის N30, მომმართა ანა ისიაშვილმა (დაბ. 08.12.1958წ. საგარეჯოში, ამჟამად მცხოვრები - ქ. საგარეჯო, ჯაფარიძის ქუჩა მე-4 ჩიხი, N8, პირადი ნომერი 36001033704, ბარათის ნომერი B0855110, გაც. 28.12.2005წ. საგარეჯოს მრ. და სარ სამსახურის მიერ).

მე დავადგინე მისი პირადობა, ქმედუნარიანობა და ნების გამოვლენის ნამდვილობა, რაშიც ეჭვი არ შემპარვია. მე დავადგინე რწმუნებულების შინაარსი და შემდეგ შევადგინე რწმუნებულება წავუკითხე და განვუმარტე მარწმუნებელს. მან განაცხადა, რომ წინამდებარე რწმუნებულება ზუსტად გამოხატავს მის ნებას, ხოლო შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ რწმუნებულებას.

რწმუნებულება

ანა ისიაშვილი, რომელიც შემდგომში წოდებულია, როგორც „მარწმუნებელი", კახაბერი ხვთისავრიშვილს (დაბ. 08.08.1987წ. საგარეჯოში, პირადი ნომერი 36001028305) შემდგომში „რწმუნებული", მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება, რწმუნებული უფლებამოსილია:

1. რწმუნებული იცავს მარწმუნებლის ქონებრივ და/ან არაქონებრივ ინტერესებს და საჭიროების შემთხვევაში აწარმოებს შესაბამის სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეს საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში, სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროში, კერძო სააღსრულებლო ბიუროში, საექსპერტო დაწესებულებებში, მათ შორის სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, რისთვისაც უფლებამოსილია: შეიტანოს განცხადებები, შეიტანოს სახელმწიფო ბაჟი (მოსაკრებელი) და დაიბრუნოს სახელმწიფო ბაჟი (მოსაკრებელი), აიღოს სასამართლოს გადაწყვეტილება.

2. აღნიშნული რწმუნებულების განსახორციელებლად რწმუნებული უფლებამოსილია მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება.

3. რწმუნებულს აქვს ყველა ის უფლებამოსილება, რომელიც მხარეს (ან მესამე პირს) მინიჭებული აქვს საქართველოს სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით. კერძოდ, რწმუნებული უფლებამოსილია:

ა) მარწმუნებლის სახელით შეიტანოს განცხადება და/ან სარჩელი (შეგებებული სარჩელი, კერძო საჩივარი) სასამართლოში, გაეცნოს საქმის მასალებს, გააკეთოს ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღოს ასლები, განაცხადოს აცილება, წარადგინოს შეპასუხება და მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვას მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, განაცხადოს სასამართლოს წინაშე შუამდგომლობები, მისცეს სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს თავისი დასკვნები და გამოთქვას მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყოს მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, ნაწილობრივ, ან მთლიანად სცნოს

ანა ისიაშვილი

სარჩელი;
ბ) გაასაჩივროს სასამართლოს ყველა აქტი (გადაწყვეტილება, განჩინება); შეიტანოს საჩივარი სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში, აწარმოოს საქმე სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში;
გ) შეცვალოს სარჩელის (შეგებებული სარჩელის) საფუძველი და/ან საგანი, გაადიდოს, ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა; დაამთავროს საქმე მორიგებით;
დ) ისარგებლოს მხარისათვის სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსებით მინიჭებული ყველა სხვა უფლებით.
ე) კანონმდებლობით დადგენილი წესით შეასრულოს ყველა მოქმედება სასამართლოს გადაწყვეტილების და/ან გადახდის ბრძანების აღსრულებისათვის.
4. რწმუნებული ვალდებულია:
ა) რწმუნებულებით მინიჭებული უფლებამოსილება განახორციელოს კეთილსინდისიერად და გულისხმიერებით;
ბ) მარწმუნებელს მიაწოდოს ცნობები დავალების შესრულების მიმდინარეობის შესახებ, შესრულების შემდეგ კი ჩააბაროს ანგარიში.
5. მარწმუნებელი ვალდებულია გადაიხადოს დავალების შესასრულებლად საჭირო ყველა ხარჯი.
6. რწმუნებული ვალდებულია დაიცვას მარწმუნებლის ინტერესები აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით არა მხოლოდ სასამართლო ორგანოებში, არამედ ყველა საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, ფიზიკურ პირებთან, იუსტიციის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში შემავალ სსიპ-ებში, იუსტიციის სახლში, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სანოტარო ბიუროში, სსიპ - საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში, შემოსავლების სამსახურში, ნებისმიერ არქივში, მუნიციპალურ ორგანოებში, მერიაში, მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია, ჩააბაროს/მიიღოს ნებისმიერი საჭირო დოკუმენტაცია, ცნობა, განცხადება, გადაიხადოს გადასახადები, მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტაციას.
ასევე მართოს და განკარგოს მარწმუნებლის სახელზე რიცხული ნებისმიერი უძრავ-მოძრავი ქონება, მათ შორის მემკვიდრეობით მიღებული ნებისმიერი უძრავი და მოძრავი ქონება, სადაც უნდა მდებარეობდეს და რისგანაც უნდა შესდგებოდეს იგი, დადოს ყველა ის გარიგება რაც აკრძალული არ არის კანონმდებლობით, გაყიდოს, (იყიდოს) გაცვალოს, გააქირაოს, დაარეგისტრიროს, გადააფორმოს, გადაიფორმოს საკუთარ თავზე (დადოს გარიგება საკუთარ თავთან), შეასრულოს აღნიშნულთან დაკავშირებით კანონით ნებადართული ყველა საჭირო მოქმედება, განსაზღვროს თანხა, ვადა და ხელშეკრულების ნებისმიერი პირობა თავისი შეხედულებისამებრ, მიიღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი თანხა, მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტაციას, ხელშეკრულებას, მოახდინოს ხელშეკრულებების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, შეასრულოს აღნიშნულთან დაკავშირებით კანონით ნებადართული ყველა საჭირო მოქმედება.
7. რწმუნებული უფლებამოსილია აწარმოოს მოლაპარაკება მარწმუნებლის სახელით ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირთან, სახელმწიფო ორგანიზაციასთან და დაწესებულებასთან.
8. რწმუნებული უფლებამოსილია მარწმუნებელი წარმოადგინოს სხვა ნებისმიერ პირთან და

ანა ოსიაშვილი

დავალების შესასრულებლად შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება მარწმუნებლის სახელით.
9. რწმუნებული ვალდებულია დავალება შეასრულოს პირადად. იგი უფლებამოსილია დავალების შესრულებაში ჩართოს დამხმარე პირები.
10. რწმუნებული არ არის უფლებამოსილი განკარგოს მარწმუნებლის ქონება.
11. <u>რწმუნებულება გაცემულია განუსაზღვრელი ვადით.</u>
12. რწმუნებულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მეორე მხარისათვის წინასწარი შეტყობინებით. თუ რწმუნებულმა ხელშეკრულება მაშინ შეწყვიტა, როცა მარწმუნებელი მოკლებული იყო შესაძლებლობას, სხვაგვარად დაეცვა მისი ინტერესები, რწმუნებული ვალდებულია მარწმუნებელს აუნაზღაუროს ზარალი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა რწმუნებულს ამისთვის მნიშვნელოვანი საფუძველი გააჩნდა.
13. რწმუნებულება შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ჩემს სანოტარო არქივში, ხოლო ორი გადაეცა მარწმუნებელს.
14. წინამდებარე რწუნებულება მარწუნებელს ხმამაღლა წაუკითხა ნოტარიუსმა, გვანცა მიქიაშვილმა, მარწმუნებელმა მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ რწმუნებულება ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ნოტარიუსის თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას.
მარწუნებელმა გადაიხადა სანოტარო მომსახურების საზღაური თვრამეტი ლარი და ხუთი ლარი რეგისტრაციის საზღაური, სულ ოცდასამი ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებისა (29 დეკემბერი, 2011 წ. №507) 31, 39 მუხლებისა.

ნოტარიუსი გვანცა მიქიაშვილი